შირაქი

SHIRAKI

გამოცემის მე-80 წელი

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№23 (9.832)

23 - 30 ივნისი 2018 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ერთად ვებრძოლოთ გაუდაბნოებას!

გვ.3

პარლამენტმა მთავრობის ახალ შემადგენლობას მხარი დაუჭირა

გვ.2

თელავში მოხალისეობის პირველი რეგიონული ფორუმი გაიმართა

გვ.6

გაჭირვებულ ოჯახს დაეხმარნენ

გვ.5

სიახლე აგრარულ ბაზარში...

გვ.4

რატომაა საქართველოში ჰაერის დაბინძურების მაღალი მაჩვენებელი?

გვ.7

საარჩევნო კოდექსში ცვლილებები შედის



გვ.7

პარლამენტმა მთავრობის ახალ შემადგენლობას მხარი დაუჭირა

პარლამენტმა მთავრობის განახლებულ შემადგენლობას და სამთავრობო პროგრამას –"თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა" ნდობა გამოუცხადა. მთავრობა 99 ხმით (6 წინააღმდეგი) დაამტკიცეს.

პარლამენტის მიერ მხარდაჭერილი მინისტრთა კაბინეტი შემდეგი შემადგენლობით დაიწყებს მუშაობას:

პრემიერ-მინისტრი – მამუკა ბახტაძე

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი – გიორგი ჩერქეზიშვილი

ფინანსთა მინისტრი – ნიკოლოზ გაგუა

საგარეო საქმეთა მინისტრი – დავით ზალკალიანი

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი – მიხეილ ჩხენკელი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი – ლევან დავითაშვილი

თავდაცვის მინისტრი – ლევან იზორია

შინაგან საქმეთა მინისტრი – გიორგი გახარია

იუსტიციის მინისტრი – თეა წულუკიანი

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი – კახა კახიშვილი

კულტურისა და სპორტის მინისტრი – მიხეილ გიორგაძე

ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი – სოზარ სუბარი

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი – მაია ცქიტიშვილი

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა მინისტრი – დავით სერგეენკო

სახელმწიფო მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში – ქეთევან ციხელაშვილი

ამასთან, როგორც მმართველ გუნდში აცხადებენ, პარლამენტს უახლოეს სამ-ოთხ კვირაში სტრუქტურულად და პერსონალურად შეცვლილი მთავრობა წარედგინება და მინისტრთა კაბინეტი ნდობის მისაღებად პარლამენტში კიდევ ერთხელ მივა.

აკაკი ზოიძე - ნარკოპოლიტიკის შემუშავების პროცესში საზოგადოების ყველა ჯგუფის, მათ შორის ეკლესიის შეხედულებებს გავითვალისწინებთ

ნარკოპოლიტიკის შემუშავების პროცესში საზოგადოების ყველა დიდი ჯგუფის, მათ შორის ეკლესიის შეხედულებებს და დამოკიდებულებას გავითვალისწინებთ - ეს ისეთი საკითხია, რომელიც საზოგადოების ყველა ფენას და მთლიანად საზოგადოებას ეხება, - აღნიშნული განცხადებით პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი ზოიძე ნარკოპოლიტიკის საკითხზე წმინდა სინოდის პოზიციას გამოეხმაურა.

როგორც ზოიძემ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფოს ნარკოდამოკიდებული პირებისთვის პროფესიული, სამკურნალო და სარეაბილიტაციო მომსახურება და სერვისები არ გააჩნდა, ეკლესიას ძალიან დიდი როლი ჰქონდა.

"მათი რეაბილიტაცია ხშირ შემთხვევაში სწორედ ეკლესიის წიაღში ხორციელდებოდა. დღეს სახელმწიფოს შეუძლია და პარლამენტში კონკრეტული საკანონმდებლო პაკეტია წარდგენილი, სადაც მსჯელობა სწორედ დეკრიმინალიზაციასთან დაკავშირებით მიმდინარეობს. მე საპატრიარქოს პოზიციას აქაც მივესალმები, რომ ქვეყანაში სამკურნალო-სარეაბილიტაციო სერვისები უნდა განვითარდეს. უნდა იყოს საგანმანათლებლო, მასობრივი სპორტის და ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდის პროგრამები, რომელიც ჩვენი ნარკოპოლიტიკის რეფორმის კონცეფციის ერთ-ერთი უმთავრესი შემადგენელი ნაწილია. ის, რომ ბრძოლა გამსაღებლებთან უნდა გამკაცრდეს, ესეც ჩვენი ნარკორეფორმის შემადგენელი ნაწილია. ნარკომომხმარებელი მხოლოდ მოხმარებისთვის ციხეში არ უნდა იჯდეს, რაც ასევე საპატრიარქოს პოზიციაა. ამიტომ ამ კუთხით თანხვედრა აბსოლუტურია", - განუცხადა ჟურნალისტებს აკაკი ზოიძემ.

გარდა ამისა, ზოიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ დღევანდელ მოცემულობაში ის მარიხუანას მოხმარების ლეგალიზაციის სასტიკი წინააღმდეგია, რადგან როდესაც პრევენცია არ არსებობს, ლეგალიზაცია დაუშვებელია.

წმინდა სინოდის სხდომის ოქმი გამოქვეყნდა

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის კრების ოქმი გამოქვეყნდა.

ირკვევა, რომ სხვადასხვა საკითხთან ერთად სინოდმა იმსჯელა საქართველოში შექმნილ დემოგრაფიულ ვითარებაზე.

"ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობად მიგვაჩნია სახელმწიფოს მხრიდან ისეთი პროგრამების დროულად განხორციელება, რაც ხელს შეუწყობს მრავალშვილიანობის წახალისებასა და მხარდაჭერას", – ნათქვამია კრების ოქმში.

კრების თანახმად, უნდა გაძლიერდეს აბორტის, განსაკუთრებით, შერჩევითი აბორტის წინააღმდეგ პროპაგანდა. როგორც ოქმიდან ჩანს, კრებამ იმსჯელა ნარკომანიისა და ნარკოტიკებით ვაჭრობის პრობლემებზე. ოქმში ნათქვამია, რომ "საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნარკოლიბერალიზაციასთან დაკავშირებით უკვე მიღებული გადაწყვეტილება დიდი საფრთხის შემცველია და სერიოზულ ბიძგს აძლევს ნარკოტიკების ფართოდ გავრცელებასა და მოხმარებას".

კრებაზე იმსჯელეს უკრაინის ეკლესიაში შექმნილ რთულ ვითარებაზე. საპატრიარქოს თანახმად, კრება გაეცნო ამ საკითხზე საპატრიარქოში შესულ წერილებს, თუმცა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭების საკითხზე რაიმე გადაწყვეტილება არ მიუღიათ.

დეკანოზი მიქაელ ბოტკოველი - მეუფე შიოსთვის მინიჭებული საპატრიარქო ტახტის მოსაყდრის სტატუსი არსობრივად იგივეა, ფუნქციურად არაფერი შეცვლილა

მეუფე შიოსთვის მინიჭებული საპატრიარქო ტახტის მოსაყდრის სტატუსი არსობრივად იგივეა, თუმცა ფორმულირებაა სხვაგვარი", — ამის შესახებ პატრიარქის მდივანმა, დეკანოზმა მიქაელ ბოტკოველმა განაცხადა.

დეკანოზმა კომენტარი გააკეთა წმინდა სინოდის განჩინებაზე, რომლითაც მეუფე შიო მომავალში პატრიარქის მოსაყდრის ნაცვლად საპატრიარქო ტახტის მოსაყდრედ მოიხსენიება.

„ჩვენ არ გვაქვს ასეთი პრეცედენტი, რომ მეუფე შიო პატრიარქის სიცოცხლეშივე იყოს მოსაყდრე. ამიტომ, შევთანხმდით, რომ ასე უმჯობესია — საპატრიარქო ტახტის მოსაყდრედ იწოდებოდეს. პატრიარქის მოსაყდრე იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ პატრიარქი იქნებოდა ქმედუუნარო ან როდესაც ის ამ ქვეყნად აღარ იქნებოდა. ამიტომ, ამით მეუფე შიოს სტატუსი დაკონკრეტდა. ფუნქციურად არაფერი შეცვლილა. მეუფე შიო პატრიარქისგან რა დავალებებსაც იღებდა, იმავეს შეასრულებს", — განაცხადა პატრიარქის მდივანმა.

მამა მიქაელის თქმით, მღვდელმთავრების ნაწილი პატრიარქის მოსაყდრის სტატუსთან დაკავშირებით დაზუსტებას ითხოვდნენ.

„ამასთან, მეუფე შიოს სკუფიაზე ბრილიანტის ჯვრის ტარების უფლება მიეცა. ანუ, ეს მის უპირატესობაზე მიანიშნებს", — განაცხადა დეკანოზმა მიქაელმა.

დავით ზალკალიანი საქართველოში აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელს შეხვდა

საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი საქართველოში აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელს ელიზაბეტ რუდს შეხვდა. როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, შეხვედრის მთავარ თემას საქართველოსა და აშშ-ს ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები წარმოადგენდა. მხარეებმა ასევე განიხილეს ნატო-ს ბრიუსელის სამიტისთვის მზადება. დავით ზალკალიანმა მადლობა გადაუხადა აშშ-ს მხარეს 2018 წლის ფისკალური წლის აშშ-ს ბიუჯეტში საქართველოს მხარდამჭერი რედაქციის გათვალისწინებისთვის, რომელიც საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას გმობს. განსაკუთრებით აღინიშნა საქართველოსა და აშშ-ს სტრატეგიული პარტნიორობის შეუქცევადობა.

აშშ-ს ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა დავით ზალკალიანს მინისტრის თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა. შეხვედრისას ელიზაბეტ რუდმა საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების კურსისადმი და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი აშშ-ს მტკიცე მხარდაჭერა დაადასტურა.

აშშ-ის კონგრესს საქართველოს მხარდამჭერი რეზოლუცია წარედგინა

აშშ-ის კონგრესს საქართველოს მხარდამჭერი რეზოლუცია წარედგინა. როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, აშშ-ს კონგრესს საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის მხარდამჭერი, ორპარტიული რეზოლუცია 20 ივნისს წარედგინა.

რეზოლუციის სპონსორია საქართველოს მეგობართა ჯგუფის თავმჯდომარე, კონგრესმენი ტედ პო (რესპუბლიკელი-ტეხასის შტატი). რეზოლუციას ამ ეტაპზე ჰყავს 8 თანასპონსორი კონგრესმენი როგორც რესპუბლიკური, ასევე დემოკრატიული პარტიიდან.

„რეზოლუცია წინ უძღვის საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის პარლამენტის სპიკერების მომდევნო კვირას ვაშინგტონში დაგეგმილ ვიზიტს და ამ ქვეყნებისადმი აშშ-ის უპირობო მხარდაჭერას გამოხატავს.

კერძოდ, რეზოლუცია მხარს უჭერს საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. ხაზს უსვამს, რომ 2016 წელს საქართველოში ჩატარდა კონკურენტუნარიანი, თავისუფალი და მაღალი სტანდარტით ორგანიზებული საპარლამენტო არჩევნები. ამასთან, რეზოლუცია ამახვილებს ყურადღებას რუსეთის მიერ საქართველოს სუვერენული ტერიტორიის ერთი-მეხუთედის ოკუპაციაზე.

რეზოლუცია ადასტურებს საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლებებისა და ხალხისადმი, ასევე ამ ქვეყნების ევროკავშირში ინტეგრაციისადმი აშშ-ის მხარდაჭერას.

კონგრესმენები მოუწოდებენ რუსეთს, რომ სამივე ქვეყნის ტერიტორიებიდან დაუყოვნებლივ გაიყვანოს შეიარაღებული ძალები; შეწყვიტოს საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის საერთაშორისოდ აღიარებულ ტერიტორიებზე მოქმედი უკანონო სამხედრო შენაერთების და შეიარაღებული ჯგუფების სამხედრო მხარდაჭერა; მათ შორის, შეწყვიტოს საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში დესტაბილიზაციის მიზნით მიმდინარე ქმედებები.

რეზოლუცია მოუწოდებს აშშ-ის მთავრობასა და ევროპელ მოკავშირეებს, ასევე გაეროსა და აშშ-ის საერთაშორისო პარტნიორებს, რომ განაგრძონ რუსეთის ხელისუფლებაზე ზეწოლა, რათა მან შეასრულოს საერთაშორისო ვალდებულებები.

კონგრესმენები მიესალმებიან რუსეთის დესტრუქციული ქმედებების საპასუხოდ საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის მთავრობებს შორის მიმდინარე თანამშრომლობას და რუსეთის მხრიდან დესტაბილიზაციის გამომწვევ ქმედებებთან გასამკლავებლად, მხარს უჭერენ აღნიშნული ქვეყნების შესაძლებლობების, მათ შორის თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში, განმტკიცებას.

კონგრესმენები აშშ-ის მთავრობას ევროპის ენერგომომარაგების გზების დივერსიფიცირების მხარდაჭერისაკენ მოუწოდებენ, მათ შორის გათხევადებული ბუნებრივი აირის ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით.

რეზოლუცია მხარს უჭერს აშშ-სა და საქართველოს, უკრაინასა და მოლდოვას შორის ეკონომიკური თანამშრომლობისა და ორმხრივი ვაჭრობის გაზრდას.

რეზოლუცია ასევე მოუწოდებს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს, რომ საქართველოს, უკრაინასა და მოლდოვასთან ანარმოოს დიალოგი, რათა დაეხმაროს მათ შიდა დემოკრატიულ პროცესებში რუსეთის ჩარევის წინააღმდეგ ეფექტურ ბრძოლაში.

რეზოლუციას მომდევნო ეტაპზე კენჭს უყრიან აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტზე. კომიტეტის მიერ რეზოლუციის დამტკიცების შემთხვევაში, აშშ-ის კონგრესის პლენარულ სხდომაზე ჩატარდება შემდეგი კენჭისყრა", - ნათქვამია საგარეო უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ერთად ვებრძოლოთ გაუდაბნოებას!

დედოფლისწყაროში შირაქის ველზე მასშტაბური ხანძრების შედეგად ბოლო წლებში ქარსაფარი ზოლების 90% განადგურდა. დაიწვა ახლადაღდგენილი ზოლების დიდი ნაწილი, რომელიც გერმანული მხარის დაფინანსებით გაშენდა და მასზე ბოლო ათწლეულში რამდენიმე მილიარდი ევრო დაიხარჯა. ექსპერტების მტკიცებით, ადგილობრივი ფერმერების დაუდევრობის შედეგად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში გაუდაბნოების პროცესი კიდევ უფრო გამწვავდა. დედოფლისწყაროსთვის მიყენებულ ზარალსა და გამოსავლის გზებზე გასულ კვირას კიდევ ერთხელ იმსჯელეს. ამ მიზნით, უკვე მერამდენე წელია, გაუდაბნოებასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე სწორედ დედოფლისწყაროში აღინიშნება.

ხანძრები ზოგ შემთხვევაში გვალვის დროს ჩნდება, თუმცა უმეტესწილად ამის მიზეზი ადგილობრივი ფერმერები არიან, რომლებიც ქერისა და ხორბლის მოსავლის აღების შემდეგ მიწის ნაკვეთებს, ნარჩენებისგან გასუფთავების მიზნით, წვავენ, შემდეგ კი მასშტაბურ ცეცხლს ვეღარ აკონტროლებენ. შედეგად ნადგურდება ბოლო წლებში გაშენებული ქარსაფარი ზოლები. დედოფლისწყაროში ქარსაფარ ზოლებს გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება აშენებს. გერმანული მხარის ადგილობრივი ექსპერტი ამირან კოდიაშვილი ამბობს, რომ სახელმწიფო ნაკვეთის დაწვის აკრძალვას აჭიანურებს, რის გამოც გარემოს სერიოზული ზიანი ადგება. მოსახლეობა კვლავაც აქტიურად იყენებს ნაკვეთის გადაწვის მავნე პრაქტიკას. ფერმერების დაუდევრობამ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში გაუდაბნოების პროცესი კიდევ უფრო გაამწვავა.

ამირან კოდიაშვილი: – „მოსახლეობა და ფერმერები, სამწუხაროდ, არამარტო ნიადაგს წვავენ, ამ ქმედებით ქარსაფარ ზოლსაც ანადგურებენ, რადგან ყანაში გაჩენილ ცეცხლს ვერ აკავებენ და გადადის ქარსაფარ ზონაში. 2015 წელს ყველაზე რთული ვითარება გვქონდა, ქარსაფრების თითქმის 90% დაიწვა. წარსულში არსებულ სურათს რომ შევადაროთ, საბჭოთა პერიოდში დედოფლისწყაროში ქარსაფრების მთლიანი სიგრძე დაახლოებით 1800 კილომეტრს შეადგენდა, ხოლო 2015-ში დარჩენილი იყო მხოლოდ 75 კილომეტრი. ამჟამად რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი ქარსაფარების აღდგენის პროგრამას ახორციელებს. საცდელი პროექტის ფარგლებში გერმანულმა მხარემ სხვადასხვა მეთოდოლოგია გამოსცადა და ჩვენი სტრატეგია **REC**-მა გამოიყენა. განადგურებულ ქარსაფარში ვხედავთ, რომ თვითაღდგენის პროცესიც დაწყებულია და მიმდინარეობს. ამიტომ, იმ ზოლში, სადაც ახალი ნერგები გაშენდა, ასევე დატოვებულია თვითაღდგენილი მცენარეებიც. ჩვენი მიზანია მათი უკეთ მოვლა, უნდა გაითიბოს და მიგვაჩნია, რომ ეს მეთოდი ბევრად ეფექტური იქნება. ამ მიდგომით ამჟამად 5,5 კმ ქარსაფარი ზოლის აღდგენა რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის მიერ. ბოლო წლებში ჩვენს მიერ გატარებულმა საგანმანათლებლო კამპანიამ და აქტიურმა ბრძოლამ შედეგი ნამდვილად გამოიღო. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ძალიან შემცირდა ქარსაფარების დაზიანების და ზოგადად მინდვრის გადაწვის დროს მიყენებული ზარალი. ადგილობრივი ფერმერების დიდი ნაწილი დაწვამდე ნაკვეთის შემოხვნას ახდენს, რაც უმართავი ხანძრებისგან გვიცავს და მანამდე ეს პრობლემა იყო. მაგრამ არც ამ შემთხვევაშია კარგი ნაკვეთის გადაწვა, ის უარყოფით გავლენას ახდენს ნიადაგის ნაყოფიერებაზე. ამიტომ, სასურველია, ფერმერმა სხვა ალტერნატივით გაასუფთაოს თავისი ნაკვეთი. ერთის მხრივ, ჩვენ კარგი ვითარება გვაქვს, რომ ვახდენთ ქარსაფარი ზოლის აღდგენას, მეორეს მხრივ აუცილებლად უნდა ვიფიქროთ ნიადაგის დაცვაზეც, იმ თვალსაზრისით, რომ არ მოვახდინოთ მისი გადაწვა. პარალელურად, ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ საამისოდ, რომ დედოფლისწყაროს სავარგულებში ქარსაცავი ზოლები აღვადგინოთ, რათა დავიცვათ ნიადაგი გამოფიტვისგან და ეროზიისგან.“

გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების წარმომადგენელი და ექსპერტი ამირან კოდიაშვილი შირაქში, მიწის ნაკვეთებში, გასუფთავების მიზნით გაჩენილი ხანძრების კიდევ ერთ უარყოფით და გამანადგურებელ შედეგზე ლაპარაკობს. მისი თქმით, გრძელვადიან პერიოდში მიწა მოუსავლიანი ხდება და საბოლოოდ დაზარალებული თავად ფერმერი დარჩება. ამირან კოდიაშვილს იმედი აქვს, რომ სახელმწიფო ამ პროცესს საკანონმდებლო დონეზე დაარეგულირებს.

„სამწუხაროდ, საყანეების გადაწვას კვლავ აგრძელებს მოსახლეობის დიდი ნაწილი. თუ ადრე 36 ათასი გადაიწვა, შეიძლება ახლა 29 ათასია, მაგრამ ეს მაინც ძალიან დიდი მასშტაბი და პრობლემაა. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მთავრობა კანონს მიიღებს, რომელიც თუ არ აკრძალავს, ყოველ შემთხვევაში, მართვადს მაინც გახდის ამ პროცესს, რომელიც ამჟამად, ფაქტიურად, უმართავად და ქაოტურად მიმდინარეობს. გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროების შეერთებამ პროცესი გააჭიანურა, თორემ უფრო ადრე იგეგმებოდა რეგულაციების ამოქმედება და ამის შესახებ არაერთი სამუშაო შეხვედრა ჩატარდა დედოფლისწყაროში. თუმცა, სამინისტროების გამსხვილების დადებითი მხარეც უნდა ითქვას, თუკი აქამდე ორი სამინისტრო ვერ თანხმდებოდა, როგორ გადაენაწილებინათ ფუნქციები მინდვრის ხანძრების ირგვლივ, ახლა ორივე სამინისტრო ერთი ქოლგის ქვეშ მოექცა და პროცესი მთლიანად ერთი უწყების სამართავია, რამაც წესით უფრო უნდა გაამარტივოს და დაჩქაროს მანამდე არსებული შეფერხებები,“ – აღნიშნავს ამირან კოდიაშვილი.

17 ივნისს გაუდაბნოების საერთაშორისო დღე დედოფლისწყაროში გარემოსდაცვითმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა აღნიშნეს. ხანძრის შედეგად განადგურებულ ქარსაცავ ზოლში ნერგები დარგეს. ქარსაცავი ზოლების აღდგენის პროექტს რამდენიმე საერთაშორისო გარემოსდაცვითი ორგანიზაცია ქართული მხარის ჩართულობით ახორციელებს. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ორგანიზებით ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებები გაიმართა. მოსწავლეებმა, სტუდენტებმა, ადგილობრივმა მოსახლეობამ და სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა მიიღეს ინფორმაცია გაუდაბნოების, მიწის დეგრადაციის საკითხებზე, ამ კუთხით, საქართველოში არსებული პრობლემების გადაჭრის გზებსა და გამოწვევებზე. დაბალი კლასის მოსწავლეებს შორის გაიმართა კონკურსი ხატვაში, გარემოს დაცვის თემაზე. გამოვლინდნენ გამარჯვებულები, რომელთაც სამახსოვრო პრიზები ცნობილმა მხატვარმა ზაალ სულაკაურმა გადასცა, მან დედოფლისწყაროელ ბავშვებს კონკურსის დაწყებამდე ხატვის გაკვეთილი ჩაუტარა. კულტურის სახლში ეზოში შეკრებილ საზოგადოებას საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეებმა, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტეტის მერმა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა კლასიკური მუსიკის ფონზე მიმართეს. იქვე მოეწყო ალაფურშეტიც.

სოფიკო ახობაძე *(კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის ხელმძღვანელი)*: „650 ჰექტარ მიწის ნაკვეთს დაიცავს ჩვენს მიერ გაშენებული ქარსაცავი ზოლები, თუკი მას მოვუვლით, შევინარჩუნებთ და ისინი ზრდასრულობამდე მიაღწევენ. ამჟამად ნერგების გახარების მაჩვენებელი საუკეთესოა. დარგული მცენარეების 50%-ზე მეტმა იხარა. ასე რომ, ამ ნერგების დამსახურებით კონკრეტულ სარგებელს ნახავს 100-მდე დედოფლისწყაროელი ფერმერი. ასევე შევძელით ის, რომ 21 ფერმერს დავხმარებოდით. დავნერგეთ თესლბრუნვა, ანუ თესლმონაცვლეობა. დაახლოებით 100 ჰექტარ მიწაზე განხორციელდა ეს პროცესი.“

სოფლის მეურნეობის სამინისტრო გაუდაბნოების პროცესის შემცირებისა და ქარსაფარი ზოლების განადგურების თავიდან აცილების საშუალებას ხედავს მოსახლეობის ინფორმირებაში. მინისტრის მოადგილე სოლომონ პავლიაშვილის თქმით, თუკი საზოგადოება პრობლემის მიმართ გულგრილი დარჩა, მისი მოგვარება გაძნელდება.

სოლომონ პავლიაშვილი *(სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილე)*: „მნიშვნელოვანია, რომ გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე დედოფლისწყაროში აღინიშნა. რადგან ეს რაიონი გამოირჩევა გაუდაბნოების მაღალი კოეფიციენტით. ჩვენი მიზანია, საზოგადოება გავაცნობიეროთ, რა უნდა გაკეთდეს გაუდაბნოებასთან ბრძოლის წინაალმდეგ, რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას. ამ ღონისძიებაში სკოლის მოსწავლეები და სტუდენტებიც იყვნენ ჩართულნი. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ პროცესში ჩართულია ის კონტინგენტი, რასაც ჰქვია მომავალი თაობა და ის თაობა, რომელმაც უნდა გაითავისოს, როგორ უნდა მოუაროს გარემოს და როგორ უნდა მართოს ის მდგრადი განვითარების მიზნებით“.

დედოფლისწყაროს მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას ამბობს, რომ პრევენციული ღონისძიებები ეფექტურად ხორციელდება. ჯანიაშვილის თქმით, ქარსაფარი ზოლების გადაწვის შემთხვევები 75%-ით შემცირდა, მინდვრის ხანძრებმა კი 60%-ით იკლო.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი *(დედოფლისწყაროს მერი)*: „პრევენციული ღონისძიებების ეფექტურობით კმაყოფილი ვარ. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი აქტიურად თანამშრომლობს როგორც შესაბამის სამინისტროებთან, ისე საერთაშორისო გარემოსდაცვით არასამთავრობო ორგანიზაციებთან. არაერთი აქტივობა განხორციელდა, მათ შორის ყველა მხარის ჩართულობით აქტიური საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანია ვაწარმოეთ დედოფლისწყაროში. ბანერები განთავსდა მინდვრებში, დაიბეჭდა გაზეთები და ფლაერები. ფერმერების მონაწილეობით ჩატარდა არაერთი სამუშაო შეხვედრა. შედეგად მივიღეთ ის, რომ ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, გასული წლის მონაცემებით მნიშვნელოვანწილად შემცირდა 60 % შემთხვევაში მიწის ნაკვეთების გადაწვა, ხოლო 75 %-ით ქარსაფრების დაზიანების შემთხვევები. იმედი მაქვს, ასე ყოველწლიურად, ნაბიჯ-ნაბიჯ გავაუმჯობესებთ არსებულ ვითარებას და ნელნელა შევამცირებთ ზარალს. ღვთის მადლით მეოთხე წელია მოსავლიანობის მაჩვენებელიც გაიზარდა, ახლაც ალოობა მიმდინარეობს და კარგი მოსავალია დედოფლისწყაროში. შარშან და შარშანწინ ორ კილომეტრზე მოხდა ქარსაფარი ზოლის აღდგენა. სხვადასხვა პირობებში ხდება მათი მოვლა და დაკვირვება. იქ, სადაც რწყავდნენ 50%-ზე მეტი ნერგია გახარებული, სადაც არ რწყავდნენ 30-35%-ის ფარგლებშია. მომავალში ამ მიმართულებით კიდევ უფრო გაძლიერდება მუშაობა, რომ დედოფლისწყაროში ქარსაფარი ზოლების რიცხვი გაიზარდოს“.

ბოლო წლების განმავლობაში დედოფლისწყაროში, შირაქის ველზე, დაიწვა როგორც ძველი ქარსაფრები, ასევე ახლად გაშენებული ნარგავები, რამაც, სპეციალისტების თქმით, გარემოს უკვე მიაყენა სერიოზული ზიანი. გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების წარმომადგენლები ამბობენ, რომ მიუხედავად მოსახლეობის დაუდევრობისა, ქარსაფარი ზოლების გაშენება არ შეჩერდება, პარალელურად გაგრძელდება საინფორმაციო კამპანია, ცნობიერების ასამაღლებლად.

ილია მარტყოფლიშვილი

სიახლე აგრარულ ბაზარში...

ჩვენი მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანია სამომხმარებლო კალათა და მასში მოთავსებული პროდუქციის ფასების შენარჩუნება მთელი წლის განმავლობაში, რათა არ გაიზარდოს ხარჯები, რომელიც დამატებით პრობლემებს შექმნის არცთუ ისე სახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე.

დღესდღეობით საკოლმეურნეო ბაზრებში გაყიდვაში, ძირითადად, ირანული და სომხური წარმოშობის ხილი და ბოსტნეულია. ხახვი და ნიორიც კი უცხოური სჭარბობს. ბულგარული წიწაკა და ბადრიჯანი, რომელიც დახლებზე ფასითაც გამორჩეულია, თითქმის მთლიანად იმპორტულია.

აშკარაა, რომ ადგილობრივ ბაზარზე ქართული ხილ-ბოსტნეულის დიდი დეფიციტია, თუმცა, ფასების წინასწარი გათვლა უკვე შესაძლებელია, თუ რაიმე განსაკუთრებულ მოვლენასთან ან სტიქიურ უბედურებასთან არ გვაქვს საქმე. მაგ. სტაბილურად 80 თეთრიდან 1.20 თეთრამდე მერყეობს (ხარისხის მიხედვით) კარტოფილის ფასი უკვე წლებია, იგივე შეგვიძლია ვთქვათ ხახვზე, ჭარხალზე, სტაფილოზე, კომბოსტოზე და ა. შ. ანუ, ნებისმიერ მომხმარებელს, ბაზარში წასვლამდე, წინასწარ შეგვიძლია გათვლა, რა თანხის დანახარჯი გვექნება იმ დღით ამა თუ იმ პროდუქტის შეძენისას.

ორიოდე კვირის წინ დედოფლისწყაროს აგრარული ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე ბეტონის კედელი აღიმართა და გარე ვაჭრობა ორ ნაწილად გაიყო. ვეცადეთ, ბაზრის მენეჯმენტიდან ინფორმაციის მიღებას, თუმცა, ადგილზე ვერ ვნახეთ და გადავწყვიტეთ, მოსახლეობისა და გარე მოვაჭრეებისგან მოგვესმინა აზრი- როგორ შეხვდნენ ამ სიახლეს და **რა სიკეთეს მოუტანს ის ჩვენს მომხმარებელს?**

მომხმარებლები ხუმრობით უკვე ეძახიან მას „ბერლინის კედელს“ და მათთვის, მათივე სიტყვებით რომ ვთქვათ, სულერთია ამ კედლის აღმართვა, საითაც მოეხერხებათ, იქით აპირებენ ვაჭრობას... რადიკალურად განსხვავებული აზრი აქვთ ბაზრის ეზოსა და გზის მხარეზე მყოფ გარემოვაჭრეებს, რომლებიც კატეგორიულად ემიჯნებიან კედლის არსებობას და იმასაც დასძენენ, რომ ეს მათი ვაჭრობის ხარისხზე დადებითად აისახება, მაგრამ კედლის აღმართვის აუცილებლობას მაინც ვერ ხედავენ. რაც შეეხება ბაზრის ეზოში განთავსებული დახლების მეპატრონეებს, ისინი სრულიად ეთანხმებიან მოქმედ მენეჯმენტს და ამბობენ,რომ როგორც ისინი ჩათვლიან საჭიროდ, ისე აპირებენ მათთან მუშაობას, რადგან წამოყენებული პირობები მათთვის მისაღებია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დიდი სიხალვათე შეინიშნებოდა ბაზრის შიდა ტერიტორიაზე, სადაც კანტი-კუნტად დაინახავდით მყიდველს, ძირითადად ყველის სექციაში. როგორც წესი, ეს ზაფხულის თანმდევი ნიშანია, თუმცა, აღნიშნული სიახლის ფონზე, რა იქნება ზამთარში, ამას მომავალი გვიჩვენებს, მანამდე კი, მთავარია, ფაქტობრივად, ორი მეპატრონის ხელში აღმოჩენილი ბაზრის ტერიტორიაზე ვაჭრობა მომხმარებელზე უარყოფითად არ აისახოს და კედლის იქითა და აქეთა მხარის მოვაჭრეებს შორის არ მოხდეს კარტერული შეთანხმება ფასებზე. ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავამშვიდოთ, ვისაც აღელვებს ეს საკითხი, რომ ორივე მხარეს იგივე ფასებია, რაც იყო ე.წ. კედლის აღმართვამდე, რაც, თავისთავად, გამორიცხავს ჩვენი მოსახლეობის ინტერესების დაზარალებას, ხოლო თუ რა სარგებელს მოგვიტანს, ამას მომავალი გვიჩვენებს.

მოამზადა
ელზა ხარაშვილმა

კურორტ “ახტალას” რეაბილიტაცია მიმდინარე წელს დაიწყება

გურჯაანში მდებარე სამკურნალო-ბალნეოლოგიურ კურორტ „ახტალას“ რეაბილიტაცია, 2018 წლის ბოლომდე დაიწყება- ამის შესახებ „ახტალას“ დირექტორმა განაცხადა. გიორგი უტიაშვილის ინფორმაციით, უპირველეს ყოვლისა მოსაგვარებელია ქონების გადაფორმების საკითხი, რომლის დასრულების შემდეგ მომზადდება არქიტექტურული პროექტი.

„კურორტ „ახტალას“ რეკონსტრუქციის სამუშაოები წლის ბოლომდე დაიწყება. ინვესტორმა უნდა მოამზადოს არქიტექტურული პროექტი, რომელიც აუცილებლად ადგილობრივ თვითმმართველობასთან შეთანხმდება. სარეაბილიტაციო სამუშაოები ისე ჩატარდება, რომ საკურორტო სეზონის მიმდინარეობას ხელს არ შეუშლის. მინდა აღვნიშნო, რომ ეს ტერიტორია იქნება საერთო სარგებლობაში, როგორც მოსახლეობისთვის, ისე დამსვენებლებისთვის“, - აღნიშნა გიორგი უტიაშვილმა.

გურჯაანში მდებარე ბალნეოლოგიური კურორტი “ახტალა” შპს “გლობალ ვიქთორი ჯორჯიამ” 3 760 000 ლარად იყიდა. ელექტრონული აუქციონი 14 ივნისს დასრულდა. კურორტის საწყისი ფასი 3 755 000 ლარი იყო. საპრივატიზებო პირობის მიხედვით, მყიდველმა უნდა განახორციელოს სულ მცირე 12 000 000 ლარის ინვესტიცია და მოაწყოს 120 ნომრის მქონე სასტუმრო კომპლექსი, რომელიც უნდა მოიცავდეს ღია და დახურული ტიპის საცურაო აუზებს, რესტორნებს, სარეაბილიტაციო და გამაჯანსაღებელ ცენტრს, ასევე, სულ მცირე 50 ავტომობილზე გათვლილ ავტოსადგომს.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერის განცხადებით, კურორტ „ახტალის“ გაყიდვის მიუხედავად, რეკრეაციული ზონა შენარჩუნდება. არჩილ ხანდამაშვილი კურორტის გაყიდვასთან დაკავშირებით არასწორი ინფორმაციის გავრცელების შესახებაც საუბრობს. „ახტალას“ გაყიდვასთან დაკავშირებით ცოტა ხნის წინ იყო აჟიოტაჟი. გაიყიდა მხოლოდ უნიკალური ტალახი და მასთან ახლოს მდებარე კორპუსები. გურჯაანელები რეკრეაციული ზონის გარეშე არ დარჩებიან და ადგილობრივ მოსახლეობას ნებისმიერ დროს შეეძლება დაისვენოს“, - განაცხადა არჩილ ხანდამაშვილმა. მისივე თქმით, კურორტის გაყიდვა გურჯაანში ტურიზმის განვითარებას შეუწყობს ხელს. უნიკალური ბალნეოლოგიური კურორტი ახტალა სახელმწიფომ პროექტის „50 ქონება შენი სასტუმროსთვის“ ფარგლებში აუქციონზე 17 მაისს გამოიტანა. ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით პროექტის „50 ქონება შენი სასტუმროსთვის“ ფარგლებში ეს უკვე რიგით მეოცე გაყიდული ობიექტია.

მიწის უფასო რეგისტრაციის ვადა 2019 წლის 1 იანვრამდე გაგრძელდება

მიწის ნაკვეთების სპეციალური წესით რეგისტრაციის სახელმწიფო პროექტი, რომლის ვადა 2018 წლის 1 ივლისს იწურებოდა, 2019 წლის 1 იანვრამდე გაგრძელდება.

იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა პარლამენტის კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე განაცხადა, რომ შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილების პარლამენტში ინიცირება უახლოეს დღეებში მოხდება.

მიწის გამარტივებული რეგისტრაციის შესახებ სახელმწიფო პროექტი, რომელიც საკუთრების უფლების უსასყიდლო რეგისტრაციას ითვალისწინებს, 2016 წლის 1 აგვისტოდან შევიდა ძალაში, მისი მოქმედების ვადა კი 2018 წლის 1 ივლისს იწურება.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური ინფორმაციით, დღეისთვის პროექტის ფარგლებში დარეგისტრირდა 488 517 მიწის ნაკვეთი, სხვადასხვა უწყებებში დოკუმენტების მოძიება მიმდინარეობს 60 617 მიწის ნაკვეთზე, 23 813 განცხადება კი მუნიციპალიტეტების მერიებთან არსებული საკუთრების აღიარების კომისიების წარმოებაშია.

გაჭირვებულ ოჯახს დაეხმარნენ

დედოფლისწყაროს აღმოსავლეთით, უკანასკნელ სოფელ საბათლოში მოსიანების უკიდურესად გაჭირვებული ოჯახი წელიწადზე მეტია ელექტროენერგიის გარეშე ცხოვრობს. დავალიანების დაფარვა ვერ შეძლეს, რის გამოც დენი შეუჭრეს. მათ სახლში დღისითაც ბნელა, რადგან ოჯახის დიასახლისი უსინათლოა, თუმცა ეს მისი ჯანმრთელობის ერთადერთი პრობლემა არ არის. როგორც 90 წლის ანა მიქელაშვილი გაზეთ „შირაქს“ უამბობს, რამდენიმე წლის წინ მეუღლე გარდაეცვალა, რის შემდეგაც ოჯახს სოციალური სააგენტოსგან ყოველთვიური საარსებო შემწეობა შეუწყდა. მეორე წელია, აღარც სოციალურ დახმარებას იღებენ, ამიტომ მისი ერთადერთი შემოსავალი პენსიაა, რომელიც წინასწარ აქვს გამოტანილი.

სოფელი საბათლო მდინარე ალაზნის მარჯვენა მხარეს, 100 წლის წინ გაშენდა. ის დედოფლისწყაროს რაიონული ცენტრისგან 70 კილომეტრითაა დაშორებული, ამდენად, ადგილობრივები ხშირად კომუნიკაციას ვერ ახერხებენ, მითუფრო, რომ არც გზაა სახარბიელო მდგომარეობაში. სოფლის განაპირა მხარეს მდებარე მათი საცხოვრებელი სახლი საკმაოდ ძველი და ამორტიზებულია, წვიმის დროს ოთახებში წყალი ჩადის, ფანჯრების ნაცვლად კი ცელოფნებია აკრული. მას შემდეგ, რაც მხედველობა დაკარგა, საშინაო საქმეების კეთებასაც ვეღარ ახერხებს, ამიტომ ოჯახს ეტყობა, რომ ქალის ხელი მოაკლდა.

„არცერთი საღი ორგანო აღარ მაქვს. გული, კუჭი, ნაღველა, ელენთა, ყველა ორგანო მტკივა. ჩვენზე მეტად გაჭირვებული ოჯახი არ მეგულება. ძალიან მძიმე მდგომარეობაში ვართ. ხშირად მშიერი ვიძინებთ, პურიც არ მაქვს ხოლმე. საჭმელი ჯანდაბას, ვინ ჩივის, პურიც რომ არ გექნება ადამიანს, პურიც.... მცხვენია უკვე, თუ ვინმე სოფელში პურს გამოაცხობს, მივალ და ვთხოვ ხლმე, მაგრამ როგორ დავუბრუნებ, რითი გადავუხდი ვალს, ან რამდენჯერ სთხოვ სხვას, დღეს ყველას უჭირს. არ ვიცი, რით ვიარსებოთ, პირუტყვივით ბალახს ხომ არ ვძოვთ. ჩემს მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ ვერაფერს ვერ ვხდავ და შვილს დავყავარ ხელით, დამოუკიდბლად გადაადგილებასაც ვერ ვახერხებ. ჩვენს სოფელში ხომ ნორმალური მაღაზიაც არ არსებობს, პირველადი მოხმარების ნივთები ჯიხურებში იყიდება და შედარებით მაღალი ფასი აქვს, ეს ოხერი პენსიაც ამიტომ გამოვიტანე წინასწარ, სხვა გზა არ მქონდა და რა მექნა. ისეთ მდგომარეობაში ვარ, ისღა დამრჩენია ხელი გავიშვირო და შემწეობა ვითხოვო. ბევრჯერ მიფიქრია ამაზე, მაგრამ სხვასაც უჭირს, ვის გინდა სთხოვო,“ – ყვება ანა ბებო.

მოხუცს ყურის უკან სიმსივნური წანაზარდი აქვს, ონკოლოგები დიდი ხანია ურჩევენ დროულ რეაგირებას, მაგრამ ხელმოკლე ოჯახი პაციენტის სამედიცინო დაწესებულებამდე გადაყვანას და პრობლემის მიხედვას ამ დრომდე ვერ ახერხებს. არადა სენი დღითიდღე პროგრესირებს, ტკივილები მატულობს.

„ამ სატკივარს რაც შეეხება, თავდაპირველად პატარა რაღაც გამომივიდა, ყურადღება ვერ მივაქციე და შემდეგ გამირთულდა. ვერ მივაქციე, ისევ უსახსრობის, უფულობის გამო. როცა კვებას ვერ ახერხებ და ესაა შენი ძირითადი საზრუნავი, რთულია ამ დროს ჯანმრთელობაზე და ექიმებთან სიარულზე იფიქრო. ახლა უკვე დაგვიანებულია, ძალიან მაწუხებს და მტკივა, სიცივე რომ მომხვდება, უარესად ვარ,“ – ამბობს ანა მიქელაშვილი.

„ონკოლოგების საბუთები გვაქვს, რომ სასწრაფო ოპერაცია ესაჭიროება, დროულად წაიყვანეთ თბილისში, კიბო აქვს და მიხედეთო, მაგრამ ფული არა გვაქვს და ვერ მიგვყავს. მანქანა ხომ გვჭირდება, საწვავი, საავადმყოფოშიც ათასი ხარჯია, თავი ვერ მოვაბით და ვართ ასე. არადა თვეში 5 სანტიმეტრით იზრდება მისი სიმსივნური წანაზარდი და ჭამს... ექიმებმაც გვითხრეს მალე წადითო, მაგრამ ფული არ არის. სობესშია ის საბუთები, სადაც ექიმის დასკვნა წერია. ჩემთვის გაუგებარია, ვის არჩევს ხელისუფლება. როცა ხელისუფლება დახმარებებს ანაწილებს, საინტერესოა რა მეთოდით გასცემს, თუ ჩვენნაირად გაჭირვებულ ოჯახს არ ეკუთვნის. მითუმეტეს რაც მამაჩემი დაილუპა, უფრო გაუარესდა ჩვენი მდგომარეობა. მაგრამ ისეთი წესები ყოფილა, ოჯახის წევრის გამოკლების შემდეგ დახმარება წყდება. მას შემდეგ ველოდებით და ვერ აღდგა დახმარება, მაღალი ქულები მოდის... იმის საშუალებაც არ გვაქვს, რომ დედოფლისწყაროში, სოციალურ სააგენტოში წამდაუწუმ ვიაროთ და ამ საკითხს ბოლომდე მივყვეთ,“ – ამბობს მოხუცის შვილი, დავით მოსიანი.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი მოადგილესთან, მალხაზ მერაბიშვილთან და წითელი ჯვრის ექიმ-თერაპევტთან თეა გიგოლაშვილთან ერთად სოფელ საბათლოს ეწვია და მოსიანების უკიდურესად გაჭირვებული ოჯახი მოინახულა. ნიკოლოზ ჯანიშვილმა მოსიანებს საკვები პროდუქტები მიუტანა. ოჯახის ასაკოვან წარმომადგენელს, ანა მიქელაშვილს კი პირველადი სამედიცინო შემოწმება ადგილზე ჩაუტარდა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ოჯახის წევრებს არსებული პრობლემების მოგვარებაში დახმარებას დაჰპირდა. როგორც ნიკოლოზ ჯანიაშვილმა განაცხადა, სხვა პრობლემების მოგვარების გარდა, მერია მზად არის მოხუცის სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირება თავად უზრუნველყოს. როცა ოჯახი ოპერაციას გადაწყვეტს, მერია ტრანსპორტით დაეხმარება.

„პერიოდულად ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები საკუთარი ინიციატივით და სახსრებით საქველმოქმედო აქციებს ვატარებთ ხოლმე. ვცდილობთ, ხელმოკლე ოჯახებს ყოველდღიური ყოფა და სირთულეები შევუმსუბუქოთ. ზოგადად მედიკოსებთან ერთად ხშირად დავდივარ სოფლებში. იცით, რომ, ჩემი ინიციატივით, უკვე მერამდენე წელია, მოქმედებს პროექტი „ერთი დღე სოფელში“, ბოლო ხანს, ასეთი გასვლების დროს ყოველთვის თან მახლავენ წითელი ჯვრის ადგილობრივი ფილიალის ექიმები. ესეც ჩემი ინიციატივით დავნერგეთ, რადგან ვიცი, რომ სოფლებში უჭირთ ექიმებთან კონსულტაცია, ასევე უჭირთ რაიონულ ცენტრში ხშირად სიარული. ძალიან ნაყოფიერი აღმოჩნდა ეს იდეა, რადგან ფაქტია, რომ ყოველთვის დიდი დატვირთვა აქვთ ხოლმე ექიმებს. ასე იყო ამ შემთხვევაშიც. ამ ოჯახის ტკივილი გავიზიარეთ და ვეცადეთ, გვერდში დავუდგეთ და მუნიციპალიტეტის ყურადღება ვაგრძნობინოთ. ჩავინიშნე მათი პირადი ნომერი და ასევე ვეცდები სოციალურ სააგენტოსთან ვუშუამდგომლო, რათა გაირკვას, რატომ შეუწყდა დახმარება. იქნებ მოხერხდეს ხელახლა გადამოწმების შემდეგ საარსებო შემწეობა აღუდგეთ,“ – აცხადებს დედოფლისწყაროს მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი.

მოსიანებმა მერს თანადგომისათვის მადლობა გადაუხადეს და აღნიშნეს, რომ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები აქამდეც არაერთხელ დადგომიან გვერდში.

ილია მარტყოფლიშვილი

შეხვედრა ხელოვნების სკოლაში

22 ივნისს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი მუნიციპალიტეტის ხელოვნების სკოლას ეწვია. მერი სკოლაში არსებულ მდგომარეობას ადგილზე გაეცნო და პედაგოგებს სასწავლო წლის წარმატებით დასრულება მიულოცა.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. ნიკოლოზ ჯანიაშვილი პედაგოგებს მუნიციპალიტეტში განსახორციელებელ პროექტებზეც ესაუბრა. აღინიშნა, რომ მიმდინარე წელს ინფრასტრუქტურული სარეაბილიტაციო სამუშაოები ხელოვნების სკოლაშიცაა დაგეგმილი.

მუნიციპალიტეტის პრობლემები განიხილეს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიაში მერის, ნიკოლოზ ჯანიაშვილის ხელმძღვანელობით ტრადიციული ყოველკვირეული თათბირი გაიმართა. შეხვედრას მერის პირველი მოადგილე სოლომონ ღორაშვილი, მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები და სოფლებში მერის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მერის წარმომადგენლებისგან ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული პრობლემების შესახებ მოისმინა და მათი მოგვარების გზები შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელებთან ერთად დასახა.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი ქერის მოსავლის აღების მიმდინარეობითაც დაინტერესდა. აღინიშნა, რომ მუნიციპალიტეტს საკმარისი რაოდენობის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა გააჩნია, რაც ალოობას შეუფერხებლად უზრუნველყოფს.

თათბირზე მუნიციპალიტეტში მიმდინარე და განსახორციელებელ პროექტებზეც ისაუბრეს.

თელავში მოხალისეობის პირველი რეგიონული ფორუმი გაიმართა

ევროკავშირი ხელს უწყობს მოხალისეობის გაძლიერებას საქართველოში. ამ ეგიდით 20 ივნისს თელავის ეთნოგრაფიულ მუზეუმში მოხალისეობის პირველი ფორუმი გაიმართა, რომლის მიზანი იყო რეგიონში მოხალისეობის კულტურის პოპულარიზაცია და ხელშეწყობა.

ფორუმში 140-მდე სტუმარი მონაწილეობდა, რომელთა შორის იყვნენ ადგილობრივი მუნიციპალიტეტების, სამოქალაქო სექტორის, ბიზნესისა და მედიის წარმომადგენლები, აგრეთვე მოხალისეობის მსურველი ახალგაზრდა აქტივისტები.

აქტიურმა მოქალაქეებმა,

ქართველმა და უცხოელმა მოხალისეებმა და მესამე სექტორის წარმომადგენლებმა ერთმანეთს გაუზიარეს მოხალისეობასთან დაკავშირებული გამოცდილება. ღონისძიების ორგანიზატორი „მედია ცენტრი კახეთის“ თელავის რეგიონული ჰაბი იყო, რომლის უშუალო ჩართულობით ფორუმის პოპულარიზაციის მიზნით, ვიდეო რგოლი და გაზეთ „კახეთის ხმის“ სპეციალური გამოცემა მომზადდა. მოხალისეობის ფორუმი გაიმართა პროექტის ,,სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივის“ (2017-2020) ფარგლებში.

განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი ნათია ნამიჭეიშვილი აღნიშნავს, რომ ფორუმი ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო, რადგან მან ერთმანეთთან დააკავშირა მოხალისეობის მაძიებელი ორგანიზაციები და მოხალისეები.

„ჩვენს ქვეყანაში მოხალისეობას, მის განვითარებას რეალურად სჭირდება მხარდაჭერა. ამას ემსახურებოდა დღევანდელი ფორუმი. ასეთი ტიპის ფორუმები, ერთი მხრივ, არის შესაძლებლობა, პოპულარიზაცია გაუწიოს მოხალისეობრივ საქმიანობას, მოუწოდოს ადამიანებს და დაეხმარონ სხვებს, გააცნობიერონ, რა მნიშვნელობა აქვს მოხალისეობას პიროვნული თუ ორგანიზაციული განვითარებისთვის. მეორე მხრივ, ეს დღე მნიშვნელოვანია იმით, რომ რეალურად აქ არის ადგილი მოხალისეებისა და მოხალისეების მიმღები ორგანიზაციების ურთიერთშეხვედრის, რეალური გასაუბრების, შეთანხმებების მიღწევისთვის. ანუ მოხალისეობის ფორუმი შეიძლება ჩავთვალოთ, სანყის დღედ, რომელმაც უნდა დაუდოს საფუძველი მოხალისეობის განვითარებას საქართველოში“, - აცხადებს ნათია ნამიჭეიშვილი.

მახლისეობის როლზე ყურადღებას ამახვილებს ავთანდილ მაჩიტაძე, განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრის დროის ბანკის ელჩი:

„დროის ბანკი ეს არის ორმხრივი მოხალოსეობის ფორმა, რომელიც ხელს უწყობს ადამიანებს შორის უნარებისა და შესაძლებლობების გაცვლას. ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი, თქვენი შესაძლებლობები გამოიყენოთ სხვების დახმარებისათვის და სანაცვლოდ მიიღოთ დახარჯული დრო, რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ ნებისმიერი სხვადასხვა საჭიროებისათვის. ეს არის სერვისი, რომელიც ხელს უწყობს და ადმინისტრირებას უკეთებს მოხალისეებს შორის თავისუფალი დროის გაცვლა-გამოცვლას“.

ფორუმის ორგანიზატორის, „მედია-ცენტრი კახეთის“ დირექტორის, მაია მამულაშვილის თქმით, **„მოხალისეობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს არასამთავრობო და სამოქალაქო ორგანიზაციებისთვის, რომელთაც სურთ, რომ ქვეყნის განვითარებაში პოზიტიური წვლილი შეიტანონ. გადამწყვეტია საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდების ჩართულობა, მათი ინფორმირება და, რაც ყველაზე მთავარია, სურვილი, რომ მათ მიიღონ განვითარებაში მონაწილეობა. მისასალმებელია, რომ კახეთის რეგიონის მასშტაბით ფორუმზე წარმოდგენილმა 30-მდე ორგანიზაციამ და 55-მდე მოხალისემ უკვე დააფიქსირა მოხალისეობის მზადყოფნა“.**

„მოხალისეობა მნიშვნელოვანია განვითარებისთვის, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის, ისე ამ ადამიანებისთვის, რომლებიც მონაწილეობას იღებენ მსგავს პროექტებში. პირველ ეტაპზე ჩვენ დავიწყეთ ურთიერთობა გერმანიასთან. გვყავდა მოხალისე, რომელიც ტურიზმის განვითარების სტრატეგიის შემუშავებაში დაგვეხმარა, დავწერეთ კონცეფციაც. ამჟამად გვყავს სივრცითი მოწყობის ექსპერტი, რომელიც მუშაობს ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომლებთან ერთად. ჩვენთვის ძალიან სასარგებლო იყო მათი მოხალისეობრივი ჩართულობა. ვფიქრობ, ყველა მუნიციპალიტეტი უნდა ჩაერთოს და დაუკავშირდეს მოხალისეებს ქვეყნის შიგნით და საზღვრებს გარეთ, რათა განახორციელოს მსგავსი ტიპის სასარგებლო და შედეგზე ორიენტირებული პროექტები“, - აღნიშნავს ეკა ცისკარაშვილი, გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი.

„პიროვნებას, რომელსაც სურს გახდეს მოხალისე, ბევრი მიზეზის გამო შეიძლება უნდოდეს ეს საქმიანობა: შესაძლოა ეს იყოს თემში არსებული სიტუაციის გამოსწორება, ახალი მეგობრების შეძენა, გართობა, საქართველოში ნელ-ნელა იცვლება დამოკიდებულება. შესაძლოა, უცნაურად ჟღერდეს, რომ მუშაობდე ანაზღაურების გარეშე, მაგრამ იმის გაგება, რომ რაღაც კარგ საქმეს აკეთებ, უკვე პატივსაცემი ხდება.

ხალხს ესმის მოხალისეობის არსი და ახალგაზრდებისთვის ეს კარგი საშუალებაა სამუშაო ადგილის მოსაძიებლად. ამერიკის შეერთებულ შტატებში ყველა ადამიანი არა, მაგრამ ძალიან ბევრი ირჩევს მოხალისეობრივ საქმიანობას, რომელიც არის ნებისმიერი ასაკის ადამიანისთვის. როდესაც ადამიანს კოლეჯში სურს ჩაბარება, ძალიან დიდ ყურადღებას აქცევენ მის მოხალისეობრივ გამოცდილებას, რადგან ეს ნიშნავს, რომ ადამიანი თავისი თემისთვის ცდილობს სარგებელის მოტანას და ამას ხალხი ძალიან აფასებს. აშშ-ში პენსიაზე გასვლის შემდეგ ბევრი ადამიანი ირჩევს მოხალისეობას“, - განმარტავს სარა დიში, „მედია-ცენტრი კახეთის“ ამერიკელი მოხალისე.

პროექტი "სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა''(2017-2020), რომლის ფარგლებშიც ჩატარდა მოხალისეობის ფორუმი, მიზნად ისახავს საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების გარემოს გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი ორგანიზაციების გაძლიერებას, მათი ანგარიშვალდებულების გაზრდას მოქალაქეების მიმართ და კავშირების განმტკიცებას სხვა აქტორებთან. 45 თვის განმავლობაში პროექტი "სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა" ითვალისწინებს 110-ზე მეტი აქტივობის განხორციელებას და 80-მდე გრანტის გაცემას. ინიციატივის ღონისძიებებში სამოქალაქო საზოგადოების სულ მცირე 2500 წარმომადგენელი ჩაერთვება მთელი საქართველოს მასშტაბით. პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირისა და გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს მიერ.

მოხალისეობის ისტორია — წარმოშობა და განვითარება

„მოხალისეობა“, ზოგადად, ითვლება ალტრუისტულ აქტივობად და მიმართულია სიკეთის წახალისებასა და ადამიანის ცხოვრების გასაუმჯობესებლად. უკუკავშირის სახით კი შეიძლება თვითკმაყოფილებისა და პატივისცემის გრძნობა მიიღოთ. მოხალისეობაში ჩართული ინდივიდებისათვის არ არსებობს არანაირი ფინანსური მოგება. მოხალისეობა ასევე აღიარებულია, როგორც უნარების განვითარების, სოციალიზაციისა და მხიარულების საშუალება. მოხალისეობა არის ასევე საშუალება კონტაქტების დასამყარებლად შემდგომი დასაქმებისათვის. მოხალისეთა ნაწილი არის კარგად მომზადებული იმ სფეროში, რომელშიც მოღვაწეობენ, როგორიცაა: მედიცინა, განათლება ან გადაუდებელი დახმარება, მაშინ, როცა სხვა შემთხვევაში სპეციალურ უნარებს არ მოითხოვს.

ტერმინი „მოხალისეობა“ ჩანაწერის სახით პირველად გამოჩნდა დაახლოებით 1600 წელს სამხედრო მნიშვნელობით - „ისინი ვინც სთავაზობდნენ საკუთარ თავს სამხედრო სამსახურისათვის“. არასამხედრო მნიშვნელობით კი, დაახლოებით, 1630 წლისათვის გვხვდება. 19-ე საუკუნეში, როცა ამერიკა „დიდ გამოღვიძებას“ განიცდიდა, ხალხმა გააანალიზა თავიანთი დაჩაგრულობა და დაიწყეს მოძრაობა მონობის წინააღმდეგ. ახალგაზრდობამ დაიწყო დახმარება თავიანთ თემებში მათთვის, ვისაც დახმარება სჭირდებოდა. 1851 წელს პირველი „ახალგაზრდა მამაკაცების ქრისტიანული ასოციაციის“ (YMCA) მოძრაობა დაიწყო, შვიდი წლის შემდეგ, რაც პირველი „მსოფლიო ახალგაზრდა ქალთა ქრისტიანული ასოციაცია“ (YWCA) შეიქმნა. ამერიკის სამოქალაქო ომის დროს ქალები თავიანთ დროს უძღვნიდნენ მოხალისეობას და ჯარისკაცებს ფორმებს უკერავდნენ, ხოლო „ბრძოლის ველის ანგელოზმა“ კლარა ბარტონმა და ქალთა ჯგუფმა დაიწყეს სამხედრო მოსამსახურეების დახმარება. კლარა ბარტონმა 1881 წელს დააარსა ამერიკის წითელი ჯვარი და დაიწყო მოხალისეების მობილიზება კატასტროფების შერბილების ოპერაციებისათვის, მათ შორის ჯონსთაუნის წყალდიდობის მსხვერპლთა დასახმარებლად 1889 წელს. მე-19 საუკუნეში რამდენიმე საქველმოქმედო ორგანიზაცია არსებობდა ხალხის დასახმარებლად, თუმცა „ხსნის არმია“ არის ერთ-ერთი უძველესი და უდიდესი ორგანიზაცია, რომელიც დაჩაგრულთა დასახმარებლად მუშაობს.

მოხალისეობამ უმთავრესი განვითარება „მშვიდობის კორპუსი“-ს ჩამოყოლიბებით განიცადა, როცა 1961 წელს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯონ ფიცჯერალდ კენედის ინიციატივით „მშვიდობის კორპუსი“ დაარსდა. 1964 წელს აშშ-ს პრეზიდენტის ლინდონ ბ. ჯონსონის მიერ „ომი სიღარიბესთან“ გამოცხადების შემდეგ მოხალისეობრივი შესაძლებლობები კიდევ უფრო გაფართოვდა.

მოხალისეები ხშირად წირავენ თავიანთ დროსა და უნარებს იმ ორგანიზაციებს, რომელთა მისიასაც ისინი მხარს უჭერენ. მიუხედავად მოხალისეობის არაანაზღაურებადი ხასიათისა, ხშირ შემთხვევაში აუცილებელია მოხალისეთა ადმინისტრაციული ხარჯების - მგზავრობა, კვება, ღამისთევა, კომუნიკაცია, დაფარვა, რაც დაკავშირებულია მოხალისის მიერ მოხალისეობრივი საქმიანობის განხორციელებასთან. მოხალისეობა თავის მხრივ შეიძლება გაიყოს ორ სახედ: ფორმალური და არაფორმალური. ფორმალური მოხალისეობა, რომელიც უფრო გავრცელებულია გულისხმობს მოხალისეობრივი საქმიანობის განხორციელებას ორგანიზაციის მეშვეობით, ხშირ შემთხვევაში არასამთავრობო ორგანიზაციის ფარგლებში, ხოლო არაფორმალური მოხალისეობა გულისხმობს მოხალისეობრივი აქტივობის განხორციელებას ორგანიზაციული მოწესრიგებიის გარეშე. ასევე შეიძლება გამოვყოთ მოხალისეობის მიმართულებები: უნარებზე დაფუძნებული მოხალისეობა, რაც გულისხმობს რომელიმე სპეციალობის მქონე პირის მიერ მოხალისეობრივი საქმიანობის განხორციელებას; ვირტუალური მოხალისეობა, რაც ინტერნეტთან და თანამედროვე ტექნოლოგიებთან არის დაკავშირებული; საგანმანათლებლო მოხალისეობა - სწავლება უცხო ენებისა და სხვა კონკრეტული მიმართულებებისა, მოხალისეობა საზღვრებს გარეთ, რაც დაკავშირებულია მოგზაურობის მოტივთან და განვითარებადი ქვეყნების დახმარების სურვილთან და სხვა.

მოხალისეობას გააჩნია უამრავი დადებითი მხარე, დაწყებული ახალი კონტაქტების დამყარებიდან, დამთავრებული გაუმჯობესებული ჯანმრთელობის მდგომარეობით. მოხალისეობა ადამიანს აძლევს საშუალებას, განივითაროს დამატებითი უნარ-ჩვევები (გარდა შემთხვევებისა, როცა უკვე გამოცდილი და პროფესიონალი კადრები, ხშირ შემთხვევაში ასაკოვანი ადამიანები ცდილობენ თავიანთი გამოცდილების გაზიარებას სხვებისათვის), გაიცნონ ახალი ადამიანები და დაამყარონ ახალი კონტაქტები, რომელიც მომავლისათვის შეიძლება ანაზღაურებადი სამსახურების შოვნის წინაპირობაც გახდეს, მოახდინონ თავიანთი თავის პოვნა (ხშირად ახალგაზრდა მოხალისეების შემთხვევაში ხდება აღნიშნული).

ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორების მიერ დადგენილია, რომ მოხალისეობა ხელს უწყობს ორგანიზმიდან მავნე ნივთიერებების - ენდორფინების გამოყოფას, რაც ხდება მაშინ, როცა ადამიანი სასიკეთო საქმეს აკეთებს და თავს ბედნიერად გრძნობს.

„გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოხალისეები“-ს პროგრამა - United Nation Volunteers (UNV) - მოხალისეობის განვითარებაში ერთ-ერთ არსებით როლს თამაშობს „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოხალისეები“-ს პროგრამა, რომელიც დაფუძნდა გენერალური ასამბლეის მიერ 1971 წელს, როგორც გაეროს განვითარებისა და სამშვიდობო პროგრამების დამხმარე ორგანიზაცია. „გაეროს მოხალისეები“ ფუნქციონირებს გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში, სადაც ყოველწლიურად 7500-მდე ადამიანი მოხალისეობს და დაფუძნების შემდეგ 50000-ზე მეტმა ადამიანმა განვლო მოხალისეობრივი საქმიანობა.

მოხალისეობა არ ანაცვლებს ანაზღაურებად თანამშრომლებს და არ წარმოადგენს საშიშროებას მათთვის. გაეროს მოხალისეების პროგრამის დაარსებიდან მრავალი საინტერესო და მნიშვნელოვანი ინიციატივები განხორციელდა, მაგალითად 1985 წლიდან შემოღებულ იქნა მოხალისეთა საერთაშორისო დღე, რომელიც ყოველწლიურად 5 დეკემბერს აღინიშნება; 2001 წელი კი პირველად მოხალისეობის წლად გამოცხადდა. გარდა აღნიშნული საინტერესო ინიციატივებისა პროგრამის ფარგლებში მრავალი პროექტი და სხვადასხვა პროგრამა განხორციელდა, რომელთა მიზანი მშვიდობისა და განვითარების ხელშეწყობა იყო.

საარჩევნო კოდექსში ცვლილებები შედის



იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა პირველი მოსმენისთვის განიხილა საქართველოს საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებები.

კანონპროექტის მიხედვით, საარჩევნო კოდექსის ტერმინთა განმარტებებს ემატება „არჩევნებში/რეფერენდუმში მონაწილეთა ხმების“ ცნება. პროექტის თანახმად, არჩევნებში/რეფერენდუმში მონაწილეთა ხმების რაოდენობა დადგინდება საარჩევნო ყუთში/ყუთებში არსებული ნამდვილი საარჩევნო ბიულეტენების ჯამის მიხედვით და არ მოიცავს ბათილად ცნობილ საარჩევნო ბიულეტენებით მიღებულ ხმებს;

ზუსტდება ჩასატარებელი არჩევნებისათვის/რეფერენდუმისათვის საარჩევნო ღონისძიებებისა და პროცედურების საწყისი ვადები და იგი აითვლება არჩევნების/რეფერენდუმის დანიშვნის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის დღიდან;

აიკრძალება ისეთი ინფორმაციის ან მონაცემების ფოტოვიდეოგადაღება, ან სხვაგვარი დამუშავება, რომელიც ამავე კოდექსის შესაბამისად არ განეკუთვნება საჯარო ინფორმაციას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დამუშავება ან გადაღება გათვალისწინებულია საარჩევნო კოდექსით;

პირი, რომელიც საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისათვის საარჩევნო კომისიამ ან სასამართლომ გაათავისუფლა საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციაში დაკავებული თანამდებობიდან, არ შეიძლება აირჩეს/დაინიშნოს ცესკოს/საოლქო/საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად 4 წლის განმავლობაში, ნაცვლად 8 წლისა;

ცესკოს ენიჭება უფლებამოსილება, დადგენილებით განსაზღვროს საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ვადაზე ადრე მოხსნის პირობები;

დაუშვებელია ცესკოს აპარატის თანამშრომლად ისეთი პირის მიღება, რომელსაც არა აქვს საჯარო მოხელის სერტიფიკატი და ცესკოს მიერ მინიჭებული საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი. იმ საშტატო ნუსხას, რომელზეც ეს მოთხოვნები არ ვრცელდება ცალკე ადგენს ცესკო;

განისაზღვრება შესაბამისი პოლიტიკური გაერთიანების მიერ პირის საოლქო/საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად დანიშვნისას, საბუთებში არსებული ხარვეზის აღმოფხვრის პროცედურები და ვადები;

მოქმედი კანონმდებლობით, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის გამოწვევა აკრძალულია კენჭისყრის დღემდე 15 დღით ადრე. პროექტით შემოთავაზებულია კომისიის წევრის გამოწვევა აიკრძალოს არა მარტო კენჭისყრის დღემდე 15 დღით ადრე, არამედ თვით კენჭისყრის დღესა და კენჭისყრის დღის მომდევნო დღეს;

შემოთავაზებული ცვლილებით, ამომრჩეველთა სიის/მონაცემების გადამოწმების/ცვლილების შეტანის მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამისი საჭიროების არსებობისას, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან ერთად, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო ან/და მისი ტერიტორიული ორგანოები ვალდებულნი იქნებიან, დაუყოვნებლივ მიაწოდონ შესაბამისი ინფორმაცია საოლქო საარჩევნო კომისიას;

ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წევრის მინიმალური ასაკობრივი ზღვარი 18 წელი იქნება;

ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციებად რეგისტრაციისათვის წესდების/სადამფუძნებლო დოკუმენტის ნაცვლად მოხდება საჯარო რეესტრიდან ამონაწერის წარდგენა , ხოლო ამონაწერის მონაცემების ნამდვილობისა და საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნების გადამოწმების/დადასტურების მიზნით, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო უზრუნველყოფს ცესკოს შესაბამისი ელექტრონული მონაცემების ბაზებზე წვდომის და გადამოწმების შესაძლებლობით;

საჯარო რეესტრის მიერ გაცემული ამონაწერის წარდგენის ვალდებულება დაეკისრებათ, ასევე პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლებს, გარდა უცხო ქვეყნის პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და საზოგადოებრივი მაუწყებლისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოსი. გარდა ამისა, შემცირდება აკრედიტაციისათვის განცხადების წარდგენის ვადა და განისაზღვრება კენჭისყრამდე არაუგვიანეს 5 დღით, ხოლო შესაბამისი საარჩევნო კომისიის მდივანი, აკრედიტაციის საკითხს გადაწყვეტს განცხადების წარდგენიდან 2 დღის ვადაში, ნაცვლად 1 დღისა;

საქართველოს პრეზიდენტის მორიგი არჩევნები ტარდება პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბრის თვის ნებისმიერ კვირა დღეს;

პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის დადასტურების მიზნით, მხარდამჭერ ამომრჩეველთა ხელმოწერების მინიმალურ ოდენობას დაადგენს ცესკო განკარგულებით, არჩევნების დანიშვნის დღეს, იმ დროისათვის არსებული მონაცემების შესაბამისად, საარჩევნო კოდექსით განსაზღვრული რაოდენობის ფარგლებში (არანაკლებ 25000 ამომრჩეველი).

იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა მხარი დაუჭირა ორგანული კანონის პროექტის პლენარულ სხდომაზე განხილვას.

რატომაა საქართველოში ჰაერის დაბინძურების მაღალი მაჩვენებელი?

გარემოს დაცვის ექსპერტი ტომ კოვაჩი საქართველოში ჰაერის დაბინძურებას საწვავის ხარისხს, მოძველებულ ავტოპარკს და შეშის დიდი ოდენობით მოხმარებას უკავშირებდა. შეიძლება ითქვას, მდგომარეობა საყურადღებოა, მაგრამ არა საგანგაშო.

თბილისის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, გადატვირთულ და ხმაურიან ქუჩებთან ერთად, დაბინძურებული გარემო და ჰაერია. ბოლო პერიოდში სოციალური ქსელის მომხმარებლები აქტიურად არიან დაკავებული იმის განსჯით, იწვევს თუ არა ჰაერის დაბინძურება სიმსივნის შემთხვევების გახშირებას.

საქართველოს ცალკეულ რეგიონებში ეკოლოგიური პრობლემები ძალიან მწვავედ დგას. მართალია, საბედნიეროდ, ადამიანის მოწამვლის შემთხვევა არ დაფიქსირებულა, მაგრამ ვინც ამ ბოლო პერიოდში საქართველოს ზღვისპირეთს ესტუმრა, მოწმე გახდებოდა იმის, თუ როგორ ტივტივებს ზღვაში ხშირად გაურკვეველი წარმოშობის საყოფაცხოვრებო ნარჩენები.

ასევე მწვავედ დგას დედაქალაქსა და საქართველოს რამდენიმე ქალაქში ჰაერის დაბინძურების პრობლემა. ზესტაფონი, კასპი, ჭიათურა — ის სამრეწველო ქალაქებია, სადაც განსაკუთრებით მაღალია სიმსივნეების რაოდენობა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებები.

Facebook-მომხმარებლები ბოლო პერიოდში ხშირად აზიარებენ საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს გამოკვლევებს, რომელიც „ფაინენშელ ტაიმსში“ დაიბეჭდა და, რომლის მიხედვითაც, საქართველო პირველ ადგილზეა მსოფლიოში იმ ქვეყნებს შორის, სადაც ჰაერის დაბინძურების გამო ადამიანთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი მაღალია. გაზეთის ინფორმაციით, მსოფლიოში ჰაერის დაბინძურების გამო ყოველდღიურად 18 ათასი ადამიანი იღუპება. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, ყოველწლიურად 6,5 მილიონი ადამიანი იღუპება ამ მიზეზით. ჰაერის დაბინძურება და ნახშირორჟანგის ზრდა მათში გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს და სიმსივნეებს იწვევს. სიმსივნე კი სიკვდილიანობის გამომწვევ დაავადებათა შორის მსოფლიოში მეორე ადგილზეა.

„ბოლო კვლევებით, კავშირი სიმსივნეებსა და ეპიდემიურ ფაქტორებს შორის უფრო მეტად გამოიკვეთა“, – ამბობენ მედიკოსები და გარემოზე ზემოქმედების ზიანის შემცირებას სამ ფაქტორში ხედავენ. ესაა ბენზინის ხარისხის კონტროლი, ავტომობილების ტექნიკური დათვალიერების შემოღება და თამბაქოს მოხმარების კონტროლი, რადგან „თამბაქო ისევე აბინძურებს შენობებს შიგნით ატმოსფეროს, როგორც ბენზინი – ქუჩის ჰაერს“.

სახელმწიფომ სამი ფაქტორიდან ორზე უკვე იზრუნა: ავტომობილების ტექნიკური დათვალიერებაც შემოიღო და თამბაქოს მოხმარების კონტროლის კანონიც უკვე ამოქმედდა. ვნახოთ, აისახება თუ არა ეს ჰაერის დაბინძურების მაჩვენებელზე.

ყურადღება!

დედოფლისწყაროს სამედიცინო და ჰუმანიტარული სასწავლებელი აცხადებს მიღებას 2018-19 სასწავლო წლისთვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. **მედდის საქმე**
2. **სამეანო საქმე**
3. **ფარმაცია**
4. **სამართალმცოდნეობა**
5. **ფინანსები და ეკონომიკა**
6. **ორთოპედიული სტომატოლოგია**
7. **საბავშვო ბაღის აღმზრდელი მასწავლებელი (ძიძა)**
8. **ლაბორატორიული დიაგნოსტიკა**
9. **ვეტერინარია**

სასწავლებლად მიიღებიან 9, 10, 11 და 12 კლასდამთავრებულები.

სწავლების ვადა 2 წელი.

საბუთების მიღება იწარმოებს 27 აგვისტოდან.

საჭიროა წარმოადგინოთ: განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, 4 ფერადი ფოტოსურათი (ზომით ¾) და პირადობის მოწმობის ასლი, განცხადება (ადგილზე).

გაიცემა არასახელმწიფო ორენოვანი დიპლომი დამოუკიდებლად მუშაობის უფლებით.

ასევე ვაცხადებთ დამატებით მიღებას შემდეგ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე:

1. ექთნის თანაშემწე
2. მოლარე-ოპერატორი
3. ბუღალტერია
4. სამკურნალო მცენარეების სპეციალისტი

სწავლების ვადა 3-9 თვე

გაიცემა ორენოვანი სერტიფიკატი

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ, მობრძანდეთ კოლეჯში შემდეგ მისამართზე:

ქ. დედოფლისწყარო, კოსტავას ქ. № 32 (დ. წყაროს არქივის შენობა 2-ე სართული)

საკონტაქტო ტელეფონები:
599 74 73 98 , 0 356 22 52 73, 555 20 04 35 .

„T&N“ მომხმარებელს ელის

ბრენდი „T&N“ ძალიან ახალგაზრდაა და მას პირველად დედოფლისწყაროელი მომხმარებელი იხილავს. ბრენდის სახელწოდება მეუღლეების-თამაზის და ნინოს სახელების პირველი ასოების აბრევიატურაა. ტიხრული მინანქრით შესრულებული სამკაულების ექსკლუზიურ მოდელებსაც ისინი თავად ქმნიან ადგილობრივი მომხმარებლებისთვის. როგორც ბრენდის წარმომადგენლები აცხადებენ, პროდუქციის ხარისხზე პასუხისმგებლობას იღებენ. მიიღებენ ინდივიდუალურ შეკვეთებს მომხმარებელთა დიზაინითაც.

თამაზ ლაპიაშვილი დედოფლისწყაროში დაიბადა და გაიზარდა. ბავშვობიდან უყვარდა ხატვა და ხეზე მუშაობა... სკოლის დამთავრების შემდეგ სამხატვრო აკადემიაში ჩააბარა საიუველირო მხატვრობის დიზაინის განხრით, ისწავლა ჭედურობა, ხეზე კვეთა, აქვე დაეუფლა ტიხრულ მინანქარს, რომელიც სამომავლო პროფესიად აირჩია... უკვე ოთხი წელია, რაც ამ საქმითაა დაკავებული.

ამბობს, რომ ქართულ ბაზარზე ტიხრული მინანქარი საკმაოდ მოთხოვნადი პროდუქტია, ქართული მინანქრითა და ხაზებით შექმნილი სამკაულით განსაკუთრებით ტურისტები ინტერესდებიან, თუმცა, არც ადგილობრივი მომხმარებლის სიმწირეს უჩივიან.

ასე რომ, თუ გსურთ თავი მოიწონოთ ექსკლუზიური და ხარისხიანი სამკაულით, ან თუ გადაწყვეტთ, ძვირფას ადამიანს საუკეთესო საჩუქარი მიართვათ, მაშინ მიაკითხეთ **დედოფლისწყაროს ბაზრის მომიჯნავედ, „ბეკოს“ შენობაში განთავსებულ მაღაზიას, სადაც „T&N“-ის სტენდი დაგხვდებათ.**

ულოცავენ!

გოჩა გოგილაშვილს!

ჩვენო ძვირფასო გოჩა, გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას და სულიერ სიმხნევეს შენს ძვირფას მეუღლესთან ხათუნასთან და შვილებთან ცოტნესთან და გვანცასთან ერთად! ჩვენს თვალწინ გაიარა შენი წარმატებული და ღირსეული ცხოვრების თითქმის ნახევარმა გზამ, რომელზეც არაფერი შეგშლია, ხარ ყველა ახლობლის, მეგობრის, ნათესავის თუ შორეულის გვერდში მდგომი, გაჭირვებიდან მხსნელი და სიხარულის თანამოზიარე, სამაგალითო მამა და მეუღლე, ჩვენი დიდი იმედი და სიყვარული.

ღმერთმა არასოდეს მოგაკლოს უფლის წყალობა და ბედნიერად გაგეტარებინოს ცხოვრება, ჩვენო საყვარელო გოჩა!

სიყვარულით, მამიდები - ლილი და მიმოზა გოგილაშვილები,
მამიდაშვილები - თამილა და თემურ ნადირაშვილები, ეთერ, ილია, ია ყაჭაშვილები.

მადლიერება

დიდი მადლობა ოზაანის საჯარო სკოლას და ყველას, ვინც გაიზიარა ჩემი სიხარული იოანე წიკლაურის დაბადების გამო.

ოლიკო დათუკიშვილი

მე დედით დავით და დაჩი ზოროღლიანების ბებია ვარ. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო თამუნა ალადაშვილს და შორენა ალუღიშვილს. ჩემი დათუნა უკვე მესამე კლასში გადავიდა და დღემდე იხსენებს თამუნა და შორენა მასწავლებელს. ბევჯერ დამდგარა ის დედის სურათით ხელში და უთქვამს: ნეტა ცოცხვალი ყოფილიყავი, დედა, ხომ გაიცნობდი ჩემს თამუნა მასწავლებელსო. აი ჩემი ციცქნა დაჩიკუნამაც დაამთავრა ბაღი, დიდი მადლობა ქეთევან გიგოლაშვილს და ეკა წიკლაურს. ძვირფასო ქეთი და ეკა მასწავლებელო, დიდ მადლობას გიხდით იმიტომ, რომ ჩემი პატარა დაჩი 2 წლისა რომ მოვიყვანე ბაღში, გვერდით ედექით როგორც საკუთარ შვილს და მზრუნველობა არ მოაკელით, მადლობა თქვენ ყველას – №2 ბაღის თანამშრომლებს, მუდამ მშობლებით იხარონ ბავშვებმა. დაე, ნუღარ იქნება ამ ქვეყნად სიტყვა „ობოლი“.

პატივისცემით, ანჟელა

ამინდი — დედოფლისწყარო

ორშაბათი 25.06		სამშაბათი 26.06		ოთხშაბათი 27.06		ხუთშაბათი 28.06		პარასკევი 29.06		შაბათი 30.06		კვირა 01.07	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
27 °	26 °	29 °	26 °	30 °	27 °	30 °	29 °	31 °	29 °	31 °	30 °	32 °	31 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.